

მოწამე – მოწმე პარონიმთა შესახებ

წამ ძირიდან არის ნაწარმოები ქართულში სიყტვა **მო-წამ-ე**, რომელიც ქეგლში დამოწმებულია ორი მნიშვნელობით: **მოწამე**¹ (მოწამისა) ძვ. იხ. **მოწმე** და **მოწამე**² (მოწამისა) ძვ. რელიგ.-ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული, ტანჯული, – მარტვილი (სათანადო ილუსტრაციებით). **მოწამე** ფორმა **მოწმის** მნიშვნელობით თანამედროვე ქართულისათვის მოძველებულად არის შეფასებული. ილუსტრაციებიც მხოლოდ ადრინდელი ქართულიდანაა.

მოწმე სიტყვა აქვე განმარტებულია ასე: 1. რაიმე შემთხვევის დამსწრე, მნახველი || რისამე დამადასტურებელი ფაქტი, საბუთი; 2. სამართ. სასამართლოში ან საგამომძიებლო ორგანოებში ჩვენების მისაცემად მიწვეული პირი, რომელმაც რაიმე იცის გასარჩევი ან გამოსადიებელი საქმისა (ქეგლი 1958). ეს მნიშვნელობაა ამოსავალი ამ სიტყვისაგან ნაწარმოები თანამედროვე სხვა ზმნური ფორმებისთვისაც: **ემოწმება** (დაემოწმა), **იმოწმებს** (დაიმოწმა), **უმოწმებს** (დაუმოწმა)...

მოწამე¹ და **მოწმე** სიტყვათა განმარტებებთან საილუსტრაციოდ გამოყენებულია სიტყვის მასალად დაფასებული მყარი გამოთქმა **ღმერთია მოწამე** (ღმერთი მოწმეა), რომელშიც **მოწამე** და **მოწმე** სიტყვები ერთნაირი მნიშვნელობისაა.

სულხან-საბა მოწამესთან ორივე მნიშვნელობას აღნიშნავს: „**დამმოწმებელი**“ და „**მარტკრი**“. ძირშეკუმშული ფორმა **მოწმე** არ ჩანს. არის **მოწმობა** „დამოწმება“-ს მნიშვნელობით. ცალკე **დამოწმება** აღარაა, მაგრამ ამკარაა, რომ იგი დადასტურებას აღნიშნავს. ამოსავალი **წამ** ძირი ჩანს **იწამა** ფორმაში, რომელიც ახსნილია, როგორც **იმოწმა**. არის **წამება** ორი მნიშვნელობით: „**წამება** ესე არს ნაქმართა ზედ ღირსებითისა კურთხევისა მიერ, ანუ წყევლისა შემწყნარებელთა სჯულისათა ნაცულის გება“ და **წამება** „მარტკლობა“, **წამებული** „მარტკლი“. აქვეა **შე-** ზმნისწინიანი **შეწამება** მნიშვნელობებით: „შემოწმება“ და „ქნა დასწამოს“. არაა **გაწამება** (სულხან-საბა 1949).

ილია აბულაძესთან **წამება** და **მოწამე** ფორმებია ამოსავალი ძირის შეუკუმშავად: **წამება** – „მოწამე ყოფა“, **შეწამება**, **დაწამება**, **მოწამება**, **მოწამე**, **საწამებელი**, **წამებულო**, **უწამებელად** და სხვ. მათგან უმეტესობას ორივე მნიშვნელობა მიესადაგება. მაგალითად, **საწამებელი**: **სამოწმებელი**, **მოწმობა** და **სამარტვილევ**. ძირშეკუმშული **მოწმე** ფორმა აქაც არ ჩანს (აბულაძე 1973).

ზურაბ სარჯველაძის ლექსიკონში წარმოდგენილია შემდეგი ფორმები:

წამება – მოწმობა; დადასტურება; წამება; ტანჯვა; მინიშნება; ჩვენება

წამებადი – საწამებელი

წამებულება-ი / **წამებულობა-ი** – დადასტურება

წამებულ-ყოფა – დადასტურება

წამის-ყოფა – მინიშნება; ჩვენება

ზმნისწინიანი ფორმები:

დაწამება – დაბრალება

დაწამებულო – დაბრალებული

შეწამება – დაბრალება, შემოწმება; შეჯერება

შეწამებულო – შეჯერებული

მოწამე-ი – მოწმე, მოწამე

მოწამება-ი – მოწმობა; მოწამეობა

აქვეა ძირშეკუმშული ფორმები:

მოწმება – დამოწმება

მოწმობითი – დამადასტურებელი (სარჯველაძე 2004)

ჩანს, ძველ ქართულში უმეტესად ძირშეუკუმშავი **მოწამე** ფორმა იხმარებოდა ორივე მიშვნელობით, რასაც ადასტურებს მყარი შესიტყვებაც: **დმერთია მოწამე** (დმერთი მოწმეა), რომელშიც **მოწამე** გამოყენებულია **მოწმის** მნიშვნელობით: დამსწრე, მნახველი (სახოკია 1979).

მწერალ გიორგი შატბერაშვილის ყურადღება მიუქცევია **წამება**, **გაწამება** სიტყვებს. გამოთქმაში: „ველარა აწამა რა“ **აწამა** ფორმას თქმის მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო; **გაწამება** კი გაჩუმების მნიშვნელობისა უნდა იყოს, – აღნიშნულია მასთან (შატბერაშვილი 1975).

თქმის, სიტყვიერი მოქმედების სემანტიკა უნდა იყოს ამოსავალი **წამ** ძირიდან ნაწარმოებ ისეთ ფორმებში, რომელთა შინაარსია დაბრალება, დადასტურება, ჩვენება, მინიშნება... და **წამ** ძირი შეუკუმშავია. ასეთი შეუკუმშავი **წამ** ძირია თანამედროვე ქართულის **სწამებს** (დასწამა, დაუწამებია) ფორმაშიც ამგვარივე შინაარსით: „(რაიმე ცუდის) ჩამდენად თვლის, (რასმე) აბრალებს, უგონებს“, მყარ შესიტყვებაშიც „ცილს სწამებს“ (ცილი დასწამა) და კომპოზიტშიც **ცილისწამება** (ქეგლი 1964).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თანდათან გამიჯნა **მო**- თავსართით ნაწარმოები **წამ** ძირის შემცველი შეუკუმშავი და შეკუმშული ფორმები: **მოწამე** და **მოწმე**. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ბოლო ვრცელ გამოცემაში **მოწამე** ფორმა **მოწმის** მნიშვნელობით მოძველებულად არის შეფასებული:

მოწამე (მოწმისა) (= წამებული)

(მოწამე მოძვ. ||) **მოწმე**

მოწამებრივი და **მოწამეობა** ფორმებიც არის:

მოწმე (მოწმისა; ვითარ. მოწმედ; მრ. მოწმეები (მოძვ. მოწამე).

არის აგრეთვე **მოწმეობა** ფორმაც (ანუ მოწმედ ყოფნა, მოწმედ დადგომა) (ორთოგრ. 1998).

შეიძლება დასკვნა: თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **მოწამე** და **მოწმე** სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობისაა. **მოწამე** აღარ იხმარება **მოწმე**ს მნიშვნელობით. ისინი პარონიმებად იქცნენ. პარონიმებად ჩაითვლება მათგან ნაწარმოები **მოწამეობა** (მოწამედ ყოფნა) და **მოწმეობა** (მოწმედ ყოფნა) სიტყვებიც.

ლიტერატურა

ქეგლ 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბილისი.

ქეგლ 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი.

სულხან-საბა 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი.

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

სარჯველაძე 2004 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), „საქართველოს მაცნე“, თბილისი.

სახოკია 1979 – თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, „მერანი“, თბილისი.

შატერაშვილი 1975 – გიორგი შატერაშვილი, თხზულებათა IV ტომი, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ორთოგრ. 1998 – ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, „განათლება“, თბილისი.